

უძრავი ქონების გამიჯვნის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“, საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, „საჯარო რეესტრის შესახებ“, საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიმიჯნოს ქალაქ ქუთაისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში რეგისტრირებული, დავით აღმაშენებლის გამზირის და თავისუფლების ქუჩის გადაკვეთასთან მდებარე უძრავი ქონება (სკვერი, ამონაწერი N03.04.23.282) თანდართული გამიჯვნითი საკადასტრო აზომვითი ნახაზების მიხედვით და გამიჯნული უძრავი ქონება ცალ-ცალკე საკადასტრო ერთეულებად დარეგისტრირდეს შემდეგი ფართობებით:

- სკვერი - დავით აღმაშენებლის გამზირის და თავისუფლების ქუჩის გადაკვეთა /ნაკ. N1/, ფართობით 360.5 კვ.მ;

- სკვერის ნაწილი - დავით აღმაშენებლის გამზირის და თავისუფლების ქუჩის გადაკვეთა /ნაკ. N2/, ფართობით 170.0 კვ.მ;

2. სარეგისტრაციო დოკუმენტაციის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურის ქონების რეგისტრაციის განყოფილების წამყვან სპეციალისტს თეიმურაზ ერამეს (პირადი N60001079086).

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს, ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ. ქავთარაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრამის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ. ქუთაისის მერის მოვალეობის
შემსრულებელი

შ. მურღულია